საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
OFFICE OF THE STATE MINISTER OF GEORGIA
FOR RECONCILIATION AND CIVIC EQUALITY

2021

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში

თბილისი
2022

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
მისამართი: თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. № 7
ტელეფონი: (+995 32) 2 92 32 99; (+995 32) 2 92 26 32
ვებ-გვერდი: www.smr.gov.ge
ელ-ფოსტა: press@smr.gov.ge

სარჩევი

მოკლე შეჯამება 4

შესავალი 10

ზოგადი პროგრესი 11

დეტალური პროგრესი თითოეულ ამოცანასთან მიმართებაში 14

გამოწვევები და რეკომენდაციები 37

მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით შესაბამისი სტრატეგისა და სამოქმედო გეგმის (2021-2022) 2021 წლის შესრულების ანგარიშს. დოკუმენტი შემუშავებულია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციითა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელ უწყებათა მიერ და განკუთვნილია, როგორც პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების, ისე ნებისმიერი დაინტერესებული პირის/ორგანიზაციისათვის.

წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია ინფორმაცია 2021 წლის კალენდარულ პერიოდში სამოქმედო გეგმის საფუძველზე შესასრულებელი აქტივობების პროგრესის შესახებ ინდიკატორებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებების მითითებით.

,,სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის“ განხორციელების თვალსაზრისით 2021 ტრანზიტული წელი იყო - 2020 წელს ამოიწურა ,,სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2015-2020 წლების სახელმწიფო სტრატეგიის“ მოქმედების ვადა და 2021 წლის დასაწყისში დაიწყო ახალი, მომავალი ათი წლის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესი, რომელიც წარიმართა ღია და ინკლუზიური პრინციპით. კერძოდ, სხვადასხვა ფორმატების ფარგლებში უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი დარგობრივი უწყებების, საქართველოს პარლამენტის, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოების, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და მასთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს, საერთაშორისო ორგანიზაციების, აკადემიური წრეების, მედიის წარმომადგენლების, დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართულობა და მონაწილეობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის საერთაშორისო ექსპერტიზა უზრუნველყო და მაღალი შეფასება მისცა ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთოს უმაღლესმა კომისარმა, რომლითაც დადასტურდა შემუშავებული დოკუმენტის შესაბამისობა საერთაშორისო პრინციპებსა და სტანდარტებთან. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობითა და კოორდინაციით შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტი საქართველოს მთავრობამ 2021 წლის 13 ივლისს N 356 დადგენილებით დაამტკიცა. შესაბამისად, აიღო ვალდებულება უზრუნველყოს სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების განხორციელება და მიზნების მიღწევა.

,,2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია“ მიზნად ისახავს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით გრძელვადიანი და შეუქცევადი პოზიტიური ცვლილებების განხორციელების უზრუნველყოფას და შესაბამისი პოლიტიკის განსახორციელებლად განსაზღვრავს:

- 5 პრიორიტეტულ მიმართულებას:
    1. სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად;
    2. ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
    3. თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა;
    4. სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია;
    5. კულტურათაშორისი დიალოგი.

სტრატეგიის ფარგლებში ჩამოყალიბებულია 9 მიზანი და შესაბამისი 21 ამოცანა.
ამავდროულად, გამჭოლ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ქალებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერა.
წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი ამოცანებისა და აქტივობების შესარულების შესახებ აღნიშნული ხუთივე პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში.
საანგარიშო წლის განმავლობაში სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყო 134 აქტივობა, (აქედან 13 აქტივობა სამოქმედო გეგმით არ იყო გათვალისწინებული, თუმცა დამატებით განხორციელდა).
განმახორციელებელი უწყებების დაგეგმილი აქტივობების შესრულების ანგარიშებით წარმოდგენილი ინფორმაცია გადანაწილდა შემდეგი ხუთი კატეგორიის შესაბამისად:

სრულად განხორციელდა - 68 აქტივობა;
მეტწილად განხორციელდა -16 აქტივობა;
ნაწილობრივ განხორციელდა - 26 აქტივობა;
არ დაწყებულა (გადავადდა)- 23 აქტივობა;
გაუქმებულია - 1 აქტივობა.

საანგარიშო პერიოდში პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების მიუხედავად, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხრიდან აქტიურად მიმდინარეობდა კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებებთან.

სტრატეგიული პრიორიტეტი 1. სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად

ეფექტიანი სამოქალაქო ინტეგრაციის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს სახელმწიფო ენის სათანადო ცოდნა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში, რაც დიდწილად განსაზღვრავს მათ სრულფასოვან მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე ჯერ კიდევ გამოწვევას წარმოადგენს, შესაბამისად, წლის განმავლობაში პრიორიტეტული იყო განათლების თითოეულ საფეხურზე იმ პროგრამებისა და პროექტების ეფექტიანი განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას.
სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით გაფართოვდა ბენეფიციართა სეგმენტი და შეიქმნა ფართო შესაძლებლობები საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი მოქალაქისთვის; შედეგად, მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში 4000-მდე ზრდასრულმა პირმა გაიუმჯობესა ქართული ენის კომპეტენცია - იმ პირობებში, როდესაც პანდემიის გათვალისწინებით სასწავლო კურსები, ძირითადად, დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა.

შემუშავდა კომპლექსური ღონისძიებები ქართული ენის პოპულარიზაციის, შესწავლის შესაძლებლობების და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაფართოებისა და საჯარო სივრცეში გამოყენების მიზნით. ამავდროულად, ფორმალური ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში სახელმწიფო ენის პროგრამებს დაემატა საინტეგრაციო კომპონენტი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და აქტუალურ საკითხებზე, ბენეფიციარების ასაკის შესაბამისი კონტექსტით. აღნიშნული ახალი კომპონენტის ფარგლებში წლის განმავლობაში გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის პანდემიისა და ვაქცინაციის შესახებ.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2- ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა.

განათლების ყველა საფეხური ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, მათ შორის მშობლიურ ენებზე. ამჟამად, საქართველოში ფუნქციონირებს 300-მდე არაქართულენოვანი სკოლა და სექტორი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის მოქმედებს სპეციალური პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები. ამავდროულად, განათლების ხარისხის განგრძობადი ამაღლება კვლავ რჩება უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პრიორიტეტად.

სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში არსებული საკადრო დეფიციტის დაძლევის მიზნით მივლინებულ იქნა მასწავლებელთა სამი ჯგუფი: 121 ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებელი, 125 დამხმარე მასწავლებელი, მათ შორის 61 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი, რომლებიც ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად მუშაობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებებით.

გაგრძელდა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება 22 უმაღლეს და 90 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღსანიშნავია, რომ პოპულარობით სარგებლობს ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამა“, რაზეც მეტყველებს დაინტერესებული აბიტურიენტების რაოდენობის ზრდის დინამიკა - მხოლოდ 2021 წელს ამ პროგრამაზე 1332 სტუდენტი ჩაირიცხა, რაც პროგრამის საწყის მაჩვენებელზე 5-ჯერ მეტია (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“ სტუდენტების რაოდენობა წლების მიხედვით



რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, 2021 წელს პროფესიული განათლების დაწესებულებებში ჩაირიცხა ეთნიკური უმცირესობის 238 წარმომადგენელი, პროგრამის ამოქმედების დღიდან (2016 წელი) ზრდა 17%-ზე მეტი, რაც ხაზს უსვამს პროგრამაზე მზარდ მოთხოვნას.

ასევე, გაგრძელდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენების სწავლება (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასურული) მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრულ საჯარო სკოლებში, რაც ადასტურებს, რომ მცირე ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების მშობლიური ენების, თვითმყოფადობისა და კულტურის მხარდაჭერა პრიორიტეტულ ამოცანად რჩება.

სტრატეგიული პრიორიტეტი 3- თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა

სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს არჩევნებში თანასწორი და სრული მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. აღნიშნული სტაბილურად ხორციელდება ბოლო ათწლეულის მანძილზე. 2021 წელს ჩატარებულ მუნიციპალიტეტის ორგნოთა არჩევნებში ანალოგიურად, როგორც წინა წლებში ჩატარებულ არჩევნებში (საპარლამენტო, საპრეზიდენტო) უზრუნველყოფილი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თანასწორი და სრულფასოვანი მონაწილეობა. ამ მიმართულებით განხორციელდა რიგი ღონისძიებები: სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა და დაიბეჭდა 3 ტიპის საარჩევნო დოკუმენტაცია, 10 სახის საინფორმაციო მასალა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის 10 სახის სახელმძღვანელო

ინსტრუქცია; განხორციელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა გადამზადება საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით; ეთნიკური უმცირესობებით მჭირდოდ დასახლებულ რეგიონებში სულ შექმნილი იყო 348 საარჩევნო უბანი (ქართულ-სომხურ, ქართულ-აზერბაიჯანულ, ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული); ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა საინფორმაციო კამპანია, მათ შორის მცირე ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან. განხორციელდა საგანმანათლებლო პროექტები და გავრცელდა შესაბამისი საინფორმაციო მასალები.

2021 წელს განახლდა ე.წ. „1+4 სტაჟირების პროგრამა“, რომელიც ფუნქციონირებს 2017 წლიდან. პროგრამა მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების საჯარო სამსახურში ჩართულობის გაუმჯობესებას. 2021 წლის ნაკადში სტაჟირების პროგრამაში ჩაერთო 67 ახალგაზრდა (დღემდე პროგრამაში 361-მა ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა). პროგრამა 2020 წელს კორონავირუსის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გამო ვერ განხორციელდა.

მედიასა და ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით გაგრძელდა საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ ტრანსლირება სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. ასევე, ფუნქციონირება განაგრძო შვიდენოვანმა ვებ-პორტალმა - www.1tv.ge. ხელი შეეწყო არაქართულენოვან ბეჭდვით მედიას - სახელმწიფოს დაფინანსებით, წლის განმავლობაში რეგულარულად გამოიცემოდა სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“ (102 ნომერი, 3500 ტირაჟი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი“ (50 ნომერი; ტირაჟი 4700). გაზეთები გავრცელდა, როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, ასევე პენიტენციურ დაწესებულებებში.

სტრატეგიული პრიორიტეტი 4 - სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებში გაგრძელდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (გაზიფიკაცია, შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების, გარეგანათების რეაბილიტაცია და სხვა), რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში განხორციელდა პროექტები. კერძოდ:

- **მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის** ფარგლებში დაფინანსდა - 14 პროექტი საერთო ღირებულებით - 4 651 279 ₾;
- **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის** ფარგლებში დაფინანსდა - 166 პროექტი, საერთო ღირებულებით - 80,586,064 ₾;
- **საავტომობილო გზების დეპარტამენტის** ფარგლებში დაფინანსდა 50 პროექტი - საერთო ღირებულებით - 167,826,680₾; დასრულდა 22 პროექტი საერთო ღირებულებით - 65 252 480 ₾; მიმდინარეობს 28 პროექტი საერთო ღირებულებით - 102,574,200 ₾;

- **მუნიციპალური განვითარების ფონდის ფარგლებში** დაფინანსდა 89 პროექტი საერთო ღირებულებით - 343,101,335.91 ₾, დასრულდა 35 პროექტი საერთო ღირებულებით - 78,669,352.7 ₾, მიმდინარეობს 54 პროექტი საერთო ღირებულებით - 264,431,983.21 ₾;
- **საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ფარგლებში** დაფინანსდა 12 პროექტი საერთო ღირებულებით - 177,219,467.32 ₾;

სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ მნიშვნელოვან სამუშაოებს შორის აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში პანდემიით შექმნილ გამოწვევებზე დროული რეაგირების მიზნით გაიმართა საინფორმაციო და სოციალური დახმარების აქტივობები. კერძოდ: კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და ვაქცინაციის საკითხებზე ჩატარდა ფართომასშტაბიანი ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რომელიც კარდაკარ პრინციპით წარიმართა ორ - სახელმწიფო და მშობლიურ ენაზე; დარიგდა მილიონამდე ერთეული ბეჭდური საინფორმაციო მასალა სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით (მათ შორის ვაქცინაციის მნიშვნელობის შესახებ). დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მარტოხელა მოხუცებსა და ობოლ ბავშვებს, რომელთაც გადაეცათ საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების პაკეტები (1334 პაკეტი); ასევე, ვაქცინაციის პროცესის მხარდასაჭერად და მოსახლეობის ინფორმირებისა და ყველა არსებულ შეკითხვაზე კომპეტენტური პასუხების გაცემის მიზნით ინტენსიური შეხვედრები ტარდებოდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების სოფლებში, მათ შორის, საზოგადოებისათვის ცნობილი ალერგოლოგებისა და იმუნოლოგების მონაწილეობით.

ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობის ინფორმირებას სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან მიმართებაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინტენსიური კარდაკარ საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების ფართომასშტაბიანი კამპანიები, რომლებიც წარიმართა სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და კოორდინირებით. კერძოდ:

- იურიდიული სახელმწიფო სერვისების შესახებ 3 რეგიონის 11 მუნიციპალიტეტის 16 სოფელში ჩაატარდა 27 შეხვედრა (500-მდე ბენეფიციარი);
- პროფესიული და უმაღლესი განათლების მიმართულებით არსებული შესაძლებლობების შესახებ შეხვედრები (მათ შორის, დისტანციურად) ჩატარდა 12 მუნიციპალიტეტის 60 სოფელში (1000 ბენეფიციარი).
- საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების, დასავლური ღირებულებების გაცნობის მიზნით 2020-2021 წლებში 15 მუნიციპალიტეტის 46 სოფელში 51 შეხვედრა ჩატარდა (800 ბენეფიციარი).

სტრატეგიული პრიორიტეტი 5 - კულტურათაშორისი დიალოგი წლის განმავლობაში გაგრძელდა პროგრამების/პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენასა და პოპულარიზაციას, სხვადასხვა ეთნოსს შორის კულტურული ურთიერთობების გაძლიერებას. მნიშვნელოვანი იყო მუზეუმებისა (2021 წლის ბიუჯეტი - 204 000 ლარი) და თეატრების (2021 წლის ბიუჯეტი - 1 952 000 ლარი) საქმიანობის ხელშეწყობა ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით, ასევე ერთობლივი პროექტები და ღონისძიებები, რომელშიც ჩართული იყვნენ როგორც ქართველი, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები.

შესავალი

სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების ჭრილში განიხილება და ორიენტირებულია თანაბარუფლებიანი და დემოკრატიული საზოგადოების განმტკიცებაზე. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წწ. სახელმწიფო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული დოკუმენტის მიზანია სახელმწიფოში სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის შემდგომი განმტკიცება, რაც გულისხმობს ქვეყანაში ეთნოსთაშორისი ურთიერთობების გაძლიერებას, მათი კულტურული ფასეულობებისა და იდენტობის დაცვას, საზოგადოებაში თანასწორობის პრინციპების სრულფასოვან რეალიზებას, რათა საქართველოს ყველა მოქალაქემ, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, შეძლოს წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიული განვითარების პროცესში.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინაციას უწევს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, განხორციელებასა და ანგარიშგებას. ამავდროულად, ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის 2020 წლის N122 დადგენილებით შექმნილ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიას.

წინამდებარე დოკუმენტი წამოადგენს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიურ ანგარიშს (იანვარი-დეკემბერი). ანგარიშის მიზანია სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესაბამისად ამოცანების განხორციელების დონის შესახებ უახლესი ინფორმაციის წარმოდგენა. წლიური ანგარიში მომზადდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, სტრატეგიის განმახორციელებელი უწყებებისაგან მოწოდებული სტატუსანგარიშების საფუძველზე (იხ. დანართი1), საქართველოს მთვარობის N629 დადგენილებით

დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად.

ზოგადი პროგრესი

სამოქმედო გეგმა მოიცავს 9 მიზანს, 21 ამოცანას, რომელთა ფარგლებშიც 2021-2022 წლების განმავლობაში დაგეგმილი იყო 134 აქტივობის განხორციელება, აღნიშნული დოკუმენტის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 66,2 %-ს .
აღნიშნული ორწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული 134 აქტივობიდან 2021 წელს განსაზღვრული იყო 52 აქტივობის, ხოლო 2022 წელს - 82 აქტივობის შესრულება.
საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 68 აქტივობა, რომელთა წილი მთელი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების საერთო რაოდენობის 50.8 %-ს შეადგენს.
ცხრა მიზნის აქტივობების შესრულების სტატუსის მიხედვით ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამაში №2.

დიაგრამა № 2. აქტივობების რაოდენობა მათი სტატუსების მიხედვით



ამოცანების შესრულების დონე, ამოცანების შედეგების საბაზისო და სამიზნე ინდიკატორები და მიღწეული პროგრესის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია 2021 წლის კონსოლიდირებული სტატუსანგარიშის დოკუმენტში (იხ. დანართი 1). ამავე დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია აქტივობების შესრულების სტატუსის შესახებ და მათი მოკლე აღწერილობა.
ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვებისა და არსებული სხვა გამოწვევების მიუხედავად, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ძირითადი ნაწილი წარმატებით განხორციელდა. 23 აქტივობის შესრულება სხვადასხვა მიზეზების გამო

შეფერხდა. ძირითად შემთხვევაში შეფერხების მიზეზი იყო კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები, აღნიშნული აქტივობების შესრულება საჭიროებდა ფიზიკურ ჩართულობას. უმეტესად შეფერხდა კულტურული და სპორტული სახის ღონისიებების გამართვა, ასევე ვერ ჩატარდა ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები.

განხორციელებული და განხორციელების პროცესში მყოფი აქტივობების შედეგების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნები და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანები შესრულდა დადგენილ ვადებში და მოცულობით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, რაც COVID-19 პანდემიის პირობებში დაწესებული შეზღუდვებით არის გამოწვეული (დეტალურად იხილეთ მე-4 თავში).

განხორციელებული საქმიანობიდან ყურადსაღებია ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო COVID-19-ის პანდემიის პირობებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების დაცვასა და მხარდაჭერაზე შემდეგი მნიშვნელოვანი მიმართულებით: ინფორმირება/ცნობიერების ამაღლება, საგანმანათლებლო პროცესზე ხელმისაწვდომობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება.

დიაგრამაზე №3-ით წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნების მიხედვით ამოცანების შესრულების დონე, რომელიც გაანგარიშებულია სტატუსანგარიშში მოცემული აქტივობების შესაბამისი პროგრესის საფუძველზე.

დიაგრამა № 3. მიზნების მიხედვით ამოცანების პროგრესის საშუალო პროცენტული მაჩვენებლები



სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ 134 აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელია 17 უწყება[1], მათ შორის ერთ აქტივობაზე გაზეთ ,,გურჯისტანისა“ და ,,ვრასტანის“ გამომცემლობები, კერძოდ:

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (SMRCE) - პასუხისმგებელია 7 აქტივობაზე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (MoES) - 22 აქტივობაზე;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MoESD) - 9 აქტივობაზე;
- საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო - 14 აქტივობაზე (MRDI);
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - 7 აქტივობაზე;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) - 2 აქტივობაზე;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (MoILHSA)- 2 აქტივობაზე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (MIA) - 4 აქტივობაზე;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (MFA) - 2 აქტივობაზე;
- საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (MCS)- 4 აქტივობაზე;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - 4 აქტივობაზე;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერიები - 10 აქტივობაზე;
- სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია - 1 აქტივობაზე;
- ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტის მერიები - 25 აქტივობაზე;
- კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტის მერიები - 10 აქტივობაზე;
- სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი - 5 აქტივობაზე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - 6 აქტივობაზე;
- ცენტრალური საარჩევნო კომისია (CEC)- 7 აქტივობაზე;
- გაზეთების: „ვრასტანისა და გურჯისტანის“ რედაქციები - 1 აქტივობაზე.

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, როგორც სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ და მაკოორდინირებელ ორგანოს.

[1] შენიშვნა: სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის მუნიციპალიტეტების მერიების მიერ აქტივობებზე აღებული ვალდებულებები წარმოდგენილია რეგიონულ ჭრილში, კონსოლიდირებულად. იმ შემთხვევაში თუ აქტივობების დავითვლით პასუხისმგებელი უწყების მიხედვით ჯამში გამოდის 142 აქტივობა.

დეტალური პროგრესი თითოეულ ამოცანასთან მიმართებაში

დიაგრამა 4. აქტივობების განხორციელების დონე მათი სტატუსების მიხედვით ამოცანების ჭრილში:



სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დაგეგმილი აქტივობების განხორციელების სტატუსების განაწილება წარმოდგენილია დიაგრამა №5-ში, ხოლო უწყებების მიერ აქტივობების შესრულების სტატუსი წარმოდგენილია დიაგრამაში №6, აქტივობების შესრულების საშუალო მაჩვენებელი კი, დიაგრამაში №7-ში.

დიაგრამა № 5. სახელმწიფო მინისტრის აპარატის აქტივობების განხორციელების სტატუსების განაწილება



დიაგარამა №6. აქტივობების შესრულების სტატუსები მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით



დიაგრამა № 7. უწყებების აქტივობების პროგრესის საშუალო მაჩვენებლები



ამოცანა 1.1 სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება და პოპულარიზაცია ფორმალურ განათლებაში (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება)

ფორმალურ განათლებაში (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება) სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერებისა და პოპულარიზაციის მხრივ მნიშველოვანი პროგრესი შეინიშნება.

აღნიშნული **ამოცანის ინდიკატორიდან** გამომდინარე პროგრესი შეინიშნება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ე.წ. ,,1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“ საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით. კერძოდ, საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით (2020 წელი) ჩარიცხულთა რიცხვი გაიზარდა დაახლოებით 10,6%-ით. ამოცანის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში პროგრესის - არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულთა წილის გაზომვა დაგეგმილია 2024 წელს, თუმცა ამ მიმართულებით დაიგეგმა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი (ბილინგვური განათლების დანერგვა, ქართული ენის მასწავლებლები, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, თემის ცნობიერების ამაღლება), რომელმაც გრძელვადიან პერსპექტივაში, ეტაპობრივად ხელი უნდა შეუწყოს პროგრესის მიღწევას ამოცანის ინდიკატორთან მიმართებაში.

განსაკუთრებული პროგრესი შეინიშნება არაქართულენოვანი სკოლების სხვადასხვა საგნის ადგილობრივი მასწავლებლების სახელმწიფო ენის შემსწავლელ კურსში გადამზადების

თვალსაზრისით, აღნიშნული მიმართულებით საქმიანობა წარიმართა დადებით ჭრილში და მოცემული საქმიანობის ინდიკატორი შესრულდა გადაჭარბებით, კერძოდ გადამზადდა 2730 მასწავლებელი (დაგეგმილი იყო 1200-მდე მასწავლებლის გადამზადება). ასევე გაორმაგებული მაჩვენებელი აღინიშნება არაქართულენოვანი სკოლების ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლების პროფესიული გადამზადების კუთხითაც, გადამზადდა 518 მასწავლებელი. აღსანიშნავია, რომ არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამის ყოფილ 10 მონაწილეს (დაგეგმილი იყო 5) დაუფინანსდა მაგისტრატურის 2021 წლის სწავლის საფასური.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და არაქართულენოვანი ბენეფიციარებისთვის ქართული ენის სწავლების ხელშეწყობის მიზნით, 2020 წლიდან დაიწყო მუშაობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მიდგომაზე. აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ შერჩევის პროცედურა გაევლოთ სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე. შერჩევის ეტაპის გავლის შემდგომ მათთვის შეთავაზებული იყო ქართული ენის შემსწავლელი მოდული, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ეძლეოდათ შესაძლებლობა სწავლა გაეგრძელებინათ მათთვის სასურველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2021 წელს მომზადდა „სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის შემუშავების და განხორციელების წესის კონცეფცია და წესის პირველადი ვერსია“. მიმდინარეობს საბოლოო შეთანხმების პროცესი სახელმწიფო ენის სწავლების საერთო პოლიტიკის გათვალისწინებით.

2022 წლიდან, აქტიურად დაიწყება მუშაობა ქართული ენის შემსწავლელი პროგრამის დანერგვაზე, რაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის შექმნის შესაძლებლობას, ქართული ენის შესწავლის შემდგომ ჩააბარონ მათთვის სასურველ პროფესიულ პროგრამაზე და მიიღონ შესაბამისი კვალიფიკაცია.

მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, ამოცანის შესრულების მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2022 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში კონკრეტული აქტივობების განხორციელების გზით, ყველა ზემოჩამოთვლილ ღონისძიებას ექნება განგრძობადი ხასიათი. გარდა ამისა, გაგრძელდება არაქართულენოვანი სკოლების სხვადასხვა საგნის ადგილობრივი მასწავლებლების გადამზადება პროფესიული უნარების გრძელვადიანი ტრენინგ-კურსით, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებზე დაყრდნობით შეიქმნება ქართულის, როგორც მეორე ენის გზამკვლევი და რესურსები. ქართული ენის (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) თანამედროვე სტანდარტის დანერგვისა და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ჩარჩოში ქართული ენის სწავლების გაძლიერების მიზნით, გაგრძელდება მეთოდური გზამკვლევებისა და თემატური რესურსების შექმნა, ამასთანავე, არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის მასწავლებლები ჩაებმებიან ინტენსიური ქოუჩინგის/ტრენინგის პროცესში, რაც ხელს შეუწყობს ზემოაღნიშნული რესურსების საგაკვეთილო პროცესში განხორციელებას.

ასევე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერებასა და პოპულარიზაციასთან ერთად, ყურადღება დაეთმობა ეთნიკურ უმცირესობათა ენების, როგორც მშობლიური ენის სწავლების გაუმჯობესებას. ამავდროულად, გაგრძელდება მცირე ეთნიკური ჯგუფების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასირიული) ენების სწავლება მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრულ სკოლებში.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, გასათვალისწინებელია, **რისკფაქტორებიც**. მათ შორის, განკერძოებულად და კონკრეტულად შეიძლება ხაზი გავუსვათ - COVID-19-ის პანდემიის გამო შექმნილ მძიმე ეპიდემიოლოგიურ ვითარებას და მისი გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებულ შეზღუდვებს.

ამოცანა 1.2. სახელმწიფო ენის ცოდნის გაძლიერება ზრდასრულებსა და არაფორმალურ განათლებაში

აღნიშნული **ამოცანის ინდიკატორთან** მიმართებაში შეინიშნება პროგრესი სახელმწიფო ენის სწავლებაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით (2020 წ. - 2059 მსმენელი; 2021 წ. - 3919 მსმენელი). 2014 წლიდან მოყოლებული 2021 წლის ჩათვლით მათი რიცხვი შეადგენს 22 063 ბენეფიციარს. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, სახელმწიფო ენის შესწავლის კუთხით წლის განმავლობაში ბენეფიციართა სეგმენტის გაფართოებასა და ამ კუთხით ფართო შესაძლებლობების შექმნას, საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი მოქალაქისთვის. შედეგად, მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, როგორც ზემოთ აღინიშნა 4000-მდე ზრდასრულმა პირმა გაიუმჯობესა ქართული ენის კომპეტენცია - იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით სასწავლო კურსები, ძირითადად, დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა. შემუშავდა კომპლექსური ღონისძიებები ქართული ენის პოპულარიზაციის, შესწავლის შესაძლებლობების და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაფართოებისა და საჯარო სივრცეში გამოყენების მიზნით. ამავდროულად, ფორმალური ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში სახელმწიფო ენის პროგრამებს დაემატა ახალი, საინტეგრაციო კომპონენტი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და აქტუალურ საკითხებზე, ბენეფიციარების ასაკის შესაბამისი კონტექსტით. საინტეგრაციო კომპონენტის ფარგლებში წლის განმავლობაში გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, მათ შორის პანდემიისა და ვაქცინაციის შესახებ.

ამ მიმართულებით დაგეგმილია შემდგომი ნაბიჯების გადადგმა, ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ზრდასრულებსა და არაფორმალურ განათლებაში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებასა და გაძლიერებას. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ზრდასრული მოსახლეობისთვის, რომელთაც - სხავადასხვა ობიექტური გარემოებების გამო ვერ შეძლეს ქართული ენის შესწავლა ფორმალური განათლების სისტემაში, მაგრამ ამჟამად აქვთ სურვილი შეისწავლონ სახელმწიფო ენა, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა როგორც საკლასო, ისე დისტანციური და ჰიბრიდული პროგრამების ფარგლებში, არსებულ სასწავლო ცენტრებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პედაგოგების მობილური ჯგუფების წარგზავნის საშუალებით, უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის სწავლების კურსის წარმართვას საჭიროებების შესაბამისად.

რისკფაქტორად, ეპიდემიოლოგიური სიტუაციის პრევენციის მიზნით დაწესებულ შეზღუდვებთან ერთად, შესაძლოა განხილული იყოს მსმენელთა ინტერესის ნაკლებობა, ამასთანავე, არასაკმარისი ფინანსური რესურსი.

ამოცანა 2.1. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ფუნქციონირების მხარდაჭერა და გამოყენების ზედამხედველობა

აღნიშნული ამოცანის მისაღწევად გაწერილი აქტივობების უმრავლესობა (4 აქტივობა) დაგეგმილია 2022 წლისთვის. თუმცა ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ 2021 წელს სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში გადამზადდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების 19 თანამშრომელი. ამ მიმართულებით გაგრძელდება შემდგომი ნაბიჯების გადადგმა 2022 წლის განმავლობაშიც.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ენის შემსწავლელ კურსში, დისტანციური ან/და პირისპირ მეთოდის გამოყენებით, გადამზადდნენ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების სხვადასხვა საგნის ადგილობრივი მასწავლებლები (ქართული ენის კურსი დაასრულა 1071-მა მასწავლებელმა, საბოლოო გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა ჰქონდა 951 მასწავლებელს, რადგან 120 მსმენელი მოდულით გათვალისწინებულ შესაბამის 80 %-ს არ დაესწრო);

ამასთანავე, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ 19 საჯარო მოხელიდან 13-მა გადამზადება გაიარა პროექტის - "საჯარო ადმინისტრირების რეფორმის შესახებ შესაძლებლობების განვითარება და ცნობიერების ამაღლება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში" ფარგლებში, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი იყო სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით გადამზადება, ხოლო დანარჩენი 6 სწავლებას გადიოდა მხოლოდ 120 საათიან სხვადასხვა დონის ქართული ენის პროგრამაზე. გარდა ამისა, შემუშავდა და დამტკიცდა პროგრამა - „სახელმწიფო ენის ელჩები“, რომლის ფარგლებში ჩაირიცხა კონკურსის წესით შერჩეული 20 ბენეფიციარი სამცხე-ჯავახეთიდან, კახეთიდან, ქვემო ქართლიდან და თბილისიდან. აღნიშნული პროგრამის მიზანია ტრენერთა მომზადება ან/და გადამზადება სახელმწიფო ენის სწავლებასა და ინტეგრაციის საკითხებში, რათა შემდგომში მათ თავად უზრუნველყონ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისათვის სახელმწიფო ენის სწავლება ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

ამოცანის **მეორე ინდიკატორთან მიმართებით,** რომელიც ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში საჯარო საქმისწარმოებაში, ბილბორდებზე, წარწერებზე, დასახელებებზე სახელმწიფო ენის გამოყენების შეფასებას - 2021 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი არ ფიქსირდება, რამდენადაც პროგრესის განსაზღვრა პირდაპირ არის დაკავშირებული სამომავლოდ დაგეგმილ კვლევებთან. აღნიშნული ამოცანის ინდიკატორის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების განხორციელება იგეგმება 2022 წელს. თუმცა, სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტს დაწყებული აქვს მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების პროცესი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიმართულებით მულტილინგვური განათლებისა და „1+4 საგანმანათლებლო პროგრამების“ სტუდენტებისთვის ჩატარდა 1 ტრენინგი სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკანონმდებლო და ნორმატიული საკითხების შესახებ. გარდა ამისა, სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის მიზნით დაიგეგმა და განხორციელდება კონკურსი არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. კონკურსის პირობები გამოცხადებულია და 2022 წლის 14 აპრილისათვის გამოვლინდებიან და დაჯილდოვდებიან გამარჯვებულები.

შეფასების განხორციელების შემდგომ, მნიშვნელოვანი იქნება ისეთი დამხმარე ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ენის სრულფასოვან ფუნქციონირებას. პროცესში გათვალისწინებული იქნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

როგორც **რისკფაქტორი,** გასათვალისწინებელია COVID-19-ის პანდემიის გამო შექმნილი შესაძლო მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარება და მისი გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები.

ამოცანა 3.1. სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის უზრუნველყოფა

სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ხარისხის უზრუნველყოფის ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი 5 აქტივობიდან, მეტწილად განხორციელდა 2, ხოლო სრულად განხორციელდა 3 აქტივობა.

ამოცანის პირველ ინდიკატორთან - ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებლის თანაფარდობა ეროვნულ მაჩვენებელთან მიმართებაში განახლებული მონაცემები 2021 წლისთვის ხელმისაწვდომი არ არის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემების განახლება/გაზომვა დაგეგმილი აქვს 2024 წლისთვის.

ამოცანის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებით, აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ორენოვანი განათლების მოდელის დანერგვას მიზნით გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები: ორენოვანი განათლების მოდელის პილოტირების პროცესში ჩაერთო 9 საბავშვო ბაღი (საერთო რაოდენობის 20%). არაქართულენოვან სკოლამდელ დაწესებულებებში თანამედროვე, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტების დანერგვის მიზნით ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე შეიქმნა გზამკვლევი 3-5 წლის ასაკობრივი ჯგუფის აღმზრდელთათვის, ასევე, სასკოლო მზაობის აღმზრდელთათვის.

აღნიშნული გზამკვლევი თანდართული სამუშაო ფურცლებითა და რესურსებით ეყრდნობა თანამედროვე სტანდარტს, თუმცა სამიზნე ჯგუფის სპეციფიკის გათვალისწინებით, ორენოვანი სკოლამდელი განათლების დანერგვას ემსახურება და შესაბამისად, ქართული ენის ინტეგრირების კომპონენტს მოიცავს. მოცემული რესურსების პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, ინტენსიური „ქოუჩინგის“ პროცესში ჩართულია 21 ორენოვანი დამხმარე აღმზრდელ-პედაგოგი. ამასთანავე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანმშრომლობით, აღმზრდელ-პედაგოგის გადამზადების მოდული გაიარა 9 არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულების 60-მდე მშობლიურენოვანმა და ორენოვანმა დამხმარე აღმზრდელ-პედაგოგმა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგების გადამზადების კუთხით სხვადასხვა პროგრამებში და ტრენინგებში ჩართულნი იყვნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების 50 პედაგოგი და ადმინისტრაციის თანამშრომელი. შესაბამისად, აქტივობის ინდიკატორი შესრულდა გადაჭარბებით, ორენოვანი განათლების მოდელის დანერგვის პროცესში ჩართულია 9 ბაღი (დაგეგმილი იყო 8 ბაღი).

წინასასკოლო განათლების უზრუნველყოფის მიზნით გაგრძელდება ღონისძიებების განხორციელება, რათა სკოლამდელი განათლების ეტაპებზე უზრუნველყოფილი იყოს სააღმზრდელო სპეციფიკიდან სააღმზრდელო-საგანმანათლებლო მიდგომებზე გადასვლისთვის შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება და ყველა სკოლამდელ დაწესებულებაში სასკოლო მზაობის პროგრამების სავალდებულო დანერგვა.

როგორც **რისკფაქტორი,** გასათვალისწინებელია COVID-19-ის პანდემიის გამო შექმნილი შესაძლო მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარება და მისი გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები. ასევე გასათვალისწინებელია კვალიფიციური ადამიანური რესურსის დეფიციტი, როგორც ახალი სკოლამდელი დაწესებულებების გახსნის, ასევე ბილინგვური განათლების დანერგვის გაფართოებისთვის.

ამოცანა 3.2. ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ ორენოვანი განათლების მოდელის დანერგვა მიმდინარეობს 25 არაქართულენოვან სკოლაში (სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი). ამ პროცესის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების რესურსები და ასევე მშობლიურ ენებზე ითარგმნა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო რესურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურებისთვის.

მეორე ინდიკატორთან მიმართებაში, კი მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტენსიური მომზადების (ქოუჩინგის) პროცესში ჩართულია 100-მდე ორენოვანი ადგილობრივი და დამხმარე მასწავლებელი, ორენოვანი ბილინგვური განათლების მოდელის ფარგლებში. 2021 წლის მონაცემებით არაქართულენოვან სკოლებში უფროსი, წამყვანი და მენტორის სტატუსის პედაგოგთა ჯამური რაოდენობაა 2 502, რაც შეადგენს არაქართულენოვან სექტორზე დასაქმებული პედაგოგების საერთო რაოდენობის 36%-ს. კერძოდ: მენტორი 9 პედაგოგი - 0,13 %; წამყვანი 228 პედაგოგი - 3,3 %; უფროსი 2 265 პედაგოგი - 32,6 %;

რაც შეეხება, არაფორმალური განათლების მიმართულებას, აქაც გარკვეული პროგრესი შეინიშნება, შეიქმნა ორენოვანი სანიმუშო, სასკოლო პროექტების ბანკი. არაფორმალური განათლების დაგეგმვისა და მართვის მიმართულებით გადამზადების პროცესში ჩართულია 25 სკოლის დირექტორი და ბილინგვური სწავლების კოორდინატორი. ამავე სკოლებში, დაწყებულია სასკოლო პროექტების დაგეგმვა, სკოლის არჩევნის მიხედვით.

განათლების პოლიტიკის მთავარი აქცენტი კვლავ იქნება მასწავლებლებისა და დირექტორების სათანადო მომზადება. განხორციელდება სპეციალური სახელმწიფო პროგრამები, რომელიც ითვალისწინებს რეგიონებში ახალგაზრდა, პროფესიონალი და მაღალი მოტივაციის კადრების წარგზავნას, მათ შორის ისეთი ორენოვანი პედაგოგების, რომლებმაც მიიღეს პროფესია ე.წ. "1+4 საგანმანათლებლო პროგრამის" ფარგლებში და მაღალ დონეზე ფლობენ სახელმწიფო და მშობლიურ ენებს.

რისკფაქტორი: შესაბამისი სპეციალობის მქონე ახალგაზრდების მხრიდან ინტერესისა და მოტივაციის ნაკლებობა.

ამოცანა 3.3. ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად

ამოცანის ინდიკატორის - ეთნიკური უმცირესობებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის მაჩვენებლის კუთხით შეინიშნება ზრდის ტენდენცია - 2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 238 ახალგაზრდა, გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 5%-ით მეტი. რაც შეეხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობას, ჩარიცხულია 2020 წელთან (საბაზისო მაჩვენებელი) შედარებით დაახლოებით 10,6 %-ით მეტი სტუდენტი. სახელმწიფო სასწავლო გრანტი 2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი ტესტისა და ოსური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე მოიპოვა 198-მა აბიტურიენტმა (აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 98; სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე - 96; ოსური ენის ტესტის საფუძველზე - 4 აბიტურიენტი).

ამოცანის ინდიკატორის მისაღწევად უმნიშვნელოვანესი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების ინფორმირება პროფესიული და უმაღლესი განათლების მიმართულებით არსებული შესაძლებლობების შესახებ. კერძოდ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების 12 მუნიციპალიტეტის 60 სოფელში (მათ შორის, დისტანციურად) ათასამდე ახალგაზრდას მიეწოდა ინფორმაცია პროფესიული და უმაღლესი განათლების მიმართულებით არსებული შესაძლებლობების შესახებ, ჩატარდა ღია კარის დღეები.

გაგრძელდება კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პროფესიული და უმაღლესი განათლების მხარდასაჭერად. მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების ინფორმირების მიზნით განხორციელდება ინფორმირების კამპანიები უმაღლესი და პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული შესაძლებლობების შესახებ. ამავდროულად, ძალისხმევა იქნება მიმართული პროფესიული კოლეჯების მიერ სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის შემუშავებასა და დანერგვაზე; ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები და სხვა.

ამოცანა 4.1. განათლების მიღმა დარჩენილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირების (შშმ და ბოშები) საგანმანათლებლო შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2021 წლის ბოლოსთვის იდენტიფიცირებულია 284 სკოლის მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვი, მძიმე და მრავლობითი დარღვევებით. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს, და/ან მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, შეუძლებელია მათი ჩართვა რაიმე ფორმის საგანმანათლებლო მომსახურებაში.

ამოცანის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემად რჩება განათლების მიღებასთან ბოშათა თემის ნეგატიური დამოკიდებულება, თუმცა პროცესი დაწყებულია და გაწეულმა ძალისხმევამ, ბოშა მოზარდების სკოლაში შეყვანამ და მათთვის სპეცმასწავლებლების მიერ შემუშავებულმა ინდივიდუალურმა გეგმებმა ხელი შეუწყო მათ სოციალიზაციასა და პოზიტიური განწყობების გაჩენას საგანმანათლებლო აქტივობების მიმართ. 2021 წლის მონაცემებით სკოლის მიღმა დარჩენილი 331 ბოშა ბავშვი ჩართულია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში, რაც 2024 წლისათვის ინდიკატორის განსაზღვრულ მაჩვენებელს აჭარბებს 111-ით.

ამ მიმართულებით დაიგეგმება და განხორციელდება შშმ და ბოშათა თემის წარმომადგენელი ბავშვების სოციალიზაციის მიზნით არაფორმალური განათლების პროექტები, ამადროულად სკოლის მიღმა დარჩენილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების განათლების სისტემაში ჩართვის მიზნით განხორციელდება საინფორმაციო კამპანიები.

რისკფაქტორებად, კორონავირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებულ შესაძლო შეზღუდვებთან ერთად, განხილულ უნდა იქნეს ინტერესის ნაკლებობა ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ჩართვის კუთხით.

ამოცანა 4.2 სამოქალაქო თანასწორობის ხელშეწყობა და კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში

ამოცანის ინდიკატორთან მიმართებაში აღინიშნება პროგრესი კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების გზით. კერძოდ: დამტკიცდა საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა და დასრულდა IX კლასისთვის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირება. სამოქალაქო თანასწორობისა და კულტურული მრავალფეროვნების საკითხები სრულად ასახულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომელიც ზოგადი განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტია. შესაბამისად, სამოქალაქო თანასწორობისა და კულტურული მრავალფეროვნების საკითხებიც სრულად ასახულია სასკოლო სახელმძღვანელოებშიც. ამავროულად, წლის განმავლობაში განხორციელდა საგანმანათლებლო-შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებები, რამაც ხელი შეუწყო კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაციას.

ამ მიმართულებით გაგრძელდება შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობისა და უმრავლესობის წარმომადგენლების ერთობლივი კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული პროგრამებისა და აქტივობების ორგანიზება-განხორციელების გზით.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული შესაძლო შეზღუდვები განიხილება როგორც **რისკფაქტორი.**

ამოცანა 5.1. მმართველობის და თვითმმართველობის განხორციელების პროცესებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის ხელშეწყობა

პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა შეადგენს 3,5%; ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების საკრებულოებში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობა შეადგენს: ახალქალაქი - 84%; ნინოწმინდა - 97,5%; ბოლნისი - 38,9%; გარდაბანი - 38,9%; დმანისი - 33,3%; თეთრიწყარო - 8,3%; მარნეული - 60,6%; წალკა - 36,7%.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით აღინიშნება მაჩვენებლების ზრდა, კერძოდ 2021 წელს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ გადამზადდა 75 მოხელე, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის 41 წარმომადგენელი, აღსანიშნავია, რომ 40-მა საჯარო მოხელემ მონაწილეობა მიიღო აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტში „საჯარო ადმინისტრირების რეფორმის შესახებ შესაძლებლობების განვითარება და ცნობიერების ამაღლება ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში“, რომლის მიზანია ადგილობრივ თვითმმართველობის დონეზე კარგი მმართველობის მხარდაჭერა ადამიანური რესურსების განვითარების გზით. პროექტის ხანგრძლივობა იყო 8 თვე.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ განახორციელა საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამები, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 10 საჯარო მოხელე, დამატებითი პროგრამების მიმართულებით კი, გადამზადდა 25 საჯარო მოხელე. დაგეგმილია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი საჯარო მოხელეებისთვის მათ საჭიროებებზე მორგებული სპეციალური კურსის მომზადება და განხორციელება, როგორც სახელემწიფო ენის სწავლების, ასევე, საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების მიმართულებით. შემუშავდება თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საქმიანობის

განსახორციელებლად საჭირო ტერმინოლოგიით დატვირთული და ადაპტირებული სასწავლო მეთოდოლოგია და მასალები.

რისკფაქტორები: კორონავირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული შესაძლო შეზღუდვები, საჯარო მოხელეთა ინტერესის ნაკლებობა, არასაკმარისი ფინანსური რესურსი.

ამოცანა 5.2. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ეფექტიანი რეალიზების მექანიზმების განვითარება

ამოცანის **ინდიკტორებთან** მიმართებაში აღინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი. კერძოდ, 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებზე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლების უფლებების რეალიზების ხელშესაწყობად ცესკომ გამოიყენა ხუთი სხვადასხვა მექანიზმი: მოამზადა და მედიასაშუალებებში განათავსა საინფორმაციო ვიდეო რგოლები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, ასევე ამავე ენებზე თარგმნა საარჩევნო დოკუმენტაცია და სხვა საინფორმაციო მასალები, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 13 მუნიციპალიტეტში ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამები: „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“, „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“, ხოლო 2 მუნიციპალიტეტში - „საარჩევნო განვითარების სკოლა“. ასევე განახორციელა ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“.

მნიშვნელოვანია, რომ აქტვობების 5.2.1.3 და 5.2.1.4 განხორციელება არ იყო გათვალისწინებული 2021 წელს, თუმცა ადმინისტრაციამ აღნიშნული აქტივობები განახორციელა.

განხორციელებული აქტივობების შედეგად ამომრჩევლებმა მიიღეს ინფორმაცია საარჩევნო პროცედურებისა და სერვისების შესახებ. საარჩევნო უბანზე მათ მშობლიურ ენაზე ხელმისაწვდომი იყო საარჩევნო დოკუმენტაცია. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა ამომრჩევლებმა საარჩევნო უფლების რეალიზება მოახდინეს თანასწორ გარემოში. ამოცანის შედეგის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ ამომრჩეველთა აქტივობა (49,65%) თითქმის არ განსხვავდებოდა საერთო ეროვნული მაჩვენებელისგან (51,92%).

საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობისათვის გაგრძელდება ღონისძიებების განხორციელება, სხვადასხვა მექანიზმის გამოყენების გზით. იმის გამო, რომ 2022 წელს არ ტარდება საერთო ეროვნული არჩევნები, განხორციელდება მხოლოდ სამი საქმიანობა, კერძოდ: ამომრჩევლების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების, ინფორმირების მიზნით განხორციელდება საინფორმაციო კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“, ახალგაზრდების საარჩევნო პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობისთვის – საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა ,,საარჩევნო განვითარების სკოლა“ და სასწავლო კურსი „საარჩევნო სამართლის დარგში“ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ახალციხის ფილიალი) სტუდენტებისთვის. შესაბამისად, 2022 წელს საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის ხელშეწყობისთვის გამოყენებული იქნება სამი მექანიზმი (ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.2.1). რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის აქტივობის მაჩვენებელს (ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.2.2), არასაარჩევნო წელს ეს მონაცემი ვერ გაიზომება.

რისკფაქტორად განხილული უნდა იქნეს სამიზნე აუდიტორიის ინტერესის ნაკლებობა და კორონავირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული შესაძლო შეზღუდვები.

ამოცანა 6.1 ეთნიკური უმცირესობების ენებზე მედიაპროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება

ეთნიკურ უმცირესობათა სოციალიზაციისა და ზოგადად სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანია მათთვის მშობლიურ/გასაგებ ენებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ერთიან საინფორმაციო სივრცეში ჩართვა. საინფორმაციო უზრუნველყოფის გაძლიერების კუთხით გაგრძელდება საინფორმაციო გადაცემები და პროგრამები ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე, მათ შორის ვებპორტალებისა და ინფორმაციის თარგმანი, არაქართულენოვანი ბეჭდური მედიის მხარდაჭერა და პროექტები, ტრენინგები მედიამუშაკების პროფესიული გაძლიერებისთვის.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მედიაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და გაუმჯობესების მიზნით გაგრძელდება საქმიანობა, რაც უმეტესწილად მიმართული იქნება ინფორმაციის მიწოდების ხარისხის ამაღლებისა და ინტენსივობის გაუმჯობესებისაკენ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მედია სივრცეში ეთნიკური უმცირესობების ყოფა-ცხოვრების, ტრადიციების, კულტურის ამსახველ სიუჟეტებს, მათი შეხედულებების წარმოჩენას, ამავდროულად, მათთვის ინფორმაციის მიწოდებას საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე.

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ გაგრძელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების უზრუნველყოფა მშობლიურ და სახელმწიფო ენებზე წარმოებული სატელევიზიო პროგრამებითა და ელექტრონული/ბეჭდვითი მედია საშუალებებით. კერძოდ, მიმდინარეობდა საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ ტრანსლირება სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. ასევე, ფუნქციონირებდა ვებ-პორტალი - www.1tv.ge, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ქოლგის ქვეშ 12-საათიანი უწყვეტი პირდაპირი ეთერით მაუწყებლობს.

ამასთან, გაგრძელდა ყოველკვირეული გაზეთების: სომხურენოვანი „ვრასტანი“-სა და აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანი“-ს გამოცემა, რომლებიც გავრცელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში. გაზეთი „ვრასტანი“ წინა წლების პრაქტიკის შესაბამისად, 3500 ტირაჟით დაიბეჭდა, წლის განმავლობაში მომზადდა 102 ნომერი. ამ მონაცემების მხრივ, რაიმე ცვლილება არ შეინიშნება, ხოლო რაც შეეხება გაზეთ „გურჯისტანს“, გამოცემული ნომრების რაოდენობა შემცირდა და შეადგინა 50, ამავდროულად, მისი ტირაჟი 2.5-ჯერ გაიზარდა (7000), რაც განპირობებული იყო აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში გაზეთზე მზარდი მოთხოვნითა და ინტერესით.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც 2022 წლიდან გაზეთებს ,,გურჯისტანი“ და ,,ვრასტანი“ სახელმწიფოს მხრიდან გაეზრდება ფინანსური მხარდაჭერა, თითოეულს - 20 000 ლარით (თითოეული, წლის განმავლობაში დაფინანსდება 80 000 ლარით); ამ კუთხით ხაზგასასმელია, რომ ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2024 წლისთვის ითვალისწინებდა დაფინანსების ზრდას 10 000 ლარის ოდენობით თითოეული გამოცემისათვის. ამდენად, ამოცანის ინდიკატორი გადაჭარბებით არის შესრულებული.

მეორე ინდიკატორთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთათვის სატელევიზიო არხების ხელმისაწვდომობას.

პენიტენციურ დაწესებულებებში 22 სატელევიზიო არხის მაუწყებლობა ხორციელდება 6 უცხოურ ენაზე: რუსული, ინგლისური, თურქული, აზერბაიჯანული, სომხური და არაბული. ასევე, პენიტენციურ დაწესებულებებს პერიოდულად ეგზავნებოდათ არაქართულენოვანი გაზეთები. საანგარიშო წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში გადანაწილდა 3720 გაზეთი, აქედან 1885 აზერბაიჯანულ ენაზე და 1835 სომხურ ენაზე.
ასევე აღსანიშნავია, რომ სამომავლოდ გაგრძელდება პენიტენციურ დაწესებულებებში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე სამაუწყებლო არხებისა და მსჯავრდებულებისთვის არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის გამოცემების მიწოდება.
რისკფაქტორად შესაძლოა განხილულ იქნას კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები და ფინანსური რესურსის ნაკლებობა.

ამოცანა 6.2 მედია წიგნიერების განვითარების მხარდაჭერა

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში, რომელიც გულისხმობს მედიის წარმომადგენლების ინფორმირების გაუმჯობესებას, რაიმე სახის პროგრესი არ შეინიშნება. საჭიროა ხელი შეეწყოს რეგიონული მედიების განვითარებას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, დაიგეგმოს და განხორციელდეს ჟურნალისტებისა და მედია-ინსტიტუტების წარმომადგენელთა პროფესიული განვითარება, ასევე ჩატარდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები კულტურული მრავალფეროვნების საკითხებში. გადაუდებელი საჭიროება დგას საინფორმაციო აქტივობების გაუმჯობესების, ეროვნული არხების სიგნალის დაფარვის არეალის გაფართოების, რეგიონული ტელევიზიების მიერ ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე საკუთარი პროდუქციის შექმნის განვითარების, სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ჟურნალისტების ქართველ კოლეგებთან ერთობლივი მედიაპროექტების მხარდაჭერის თვალსაზრისით.
მეორე ინდიკატორთან მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ დეზინფორმაციის გავრცელების პრევენციის მიზნით განხორციელდა მოსახლეობის ინფორმირების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სემინარი. კერძოდ, გაიმართა 3 დღიანი ტრენინგი თემაზე: "დეზინფორმაციის ზეგავლენა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე და მისი პრევენციის მნიშვნელობა", რომელშიც მონაწილეობა მიიღო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების (სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის, ასევე თბილისის) არაქართულენოვანი სკოლების 24-მა მასწავლებელმა. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს საპილოტე ფორმატში განხორციელდა ანალოგიური სემინარი, რომელზეც დადებითი უკუკავშირის შედეგად დაიგეგმა მისი გაგრძელება იმ სამიზნე ჯგუფების ჩართულობით, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე და მულტიპლიკატორების ფუნქციას ასრულებს. 2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში პირველად მოხდა წარმოდგენილი საკითხის ამოცანის სახით განსაზღვრა.
აღნიშნული მიმართულებით საქმიანობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდება. მედიაწიგნიერების მხარდაჭერის მიზნით იგეგმება ტრენინგების, სემინარების განხორციელება ისეთი სამიზნე ჯგუფებისთვის, როგორიცაა რეგიონული მედიის წარმომადგენლები, ახალგაზრდები, ქალები.
კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვებთან ერთად, **რისკფაქტორად** შესაძლოა განხილულ იქნეს ფინანსური რესურსისა და ბენეფიციარების მრიდან ინტერესის ნაკლებობა.

ამოცანა 7.1 სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკისა და ანტიდისკრიმინაციულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში აღინიშნება პოზიტიური ტენდენცია. ფიქსირდება ამოცანის მისაღწევად გაწეული ძალისხმევა სხვადასხვა აქტორების მხრიდან. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორი თვის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში აწარმოა საინფორმაციო კამპანია „ნუ წაართმევ ბავშვობას“, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა სახის ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის რეგიონებში 1500-ზე მეტმა პირმა, რაც დაახლოებით 50%-ით მეტია გასული წლის მონაცემებთან შედარებით. მედიის საშუალებით გავრცელდა სოციალური რეკლამა ბავშვობის ასაკში ქორწინების თემაზე ასევე, მოსახლეობას ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მიეწოდა საინფორმაციო ბროშურები და პოსტერები.

ამავდროულად, გენდერული თანასწორობის, ადრეულ ქორწინებასთან და ოჯახური ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე საინფორმაციო კამპანიები აწარმოა სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტების მერიებმა სახელმწიფო-რწმუნებულის ადმინისტრაციის კოორდინაციით, რომლის ფარგლებშიც წლის განმავლობაში გაიმართა 300-მდე შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული სამივე რეგიონის მუნიციპალიტეტებში 1000-მდე ბენეფიციარის ჩართულობით.

წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის მუნიციპალიტეტებში გაიმართა ,,ქალთა ოთახების“ ფარგლებში 19 შეხვედრა და ტრენინგი, რომელშიც 600-ზე მეტი ბენეფიციარი იღებდა მონაწილეობას.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ვერ მოხერხდა ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო. ამავდროულად, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობისთვის, ქალებისა და ახალგაზრდებისათვის შეხვედრების რესურს ცენტრები არ გახსნილა. აღნიშნულ აქტივობაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა გენდერულ საბჭოს, რომელიც ძველი შემადგენლობით აღარ ფუნქციონირებს. ჩამოსაყალიბებელია ახალი გენდერული საბჭო, შესაბამისად 2022 წელს იგეგმება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობის განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რიგი ღონისძიებები, რაც არ იყო გათვალისწინებული სამოქმედო გეგმით. კერძოდ, ბოლნისში გაიხსნა ქალთა რადიო (WW); თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით ონლაინ ფორმატით ჩაატარა სემინარები სექსუალური შევიწროება, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, გენდერული მეინსტრიმინგი და გენდერული თანასწორობა, ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე.

ამოცანის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში აღინიშნება პროგრესი, რაც გულისხმობს ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლების გაუმჯობესებას.

ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლების გაუმჯობესების მიმართულებით სახელმწიფო მინისტრის აპარატმა წლის განმავლობაში არაერთი ღონისძიება განახორციელა, მათ შორის აღსანიშნავია, სამთავრობო კომისიის საქმიანობის ფარგლებში გამართული შეხვედრები, კონსულტაციები, რაც დიდწილად უკავშირებოდა პოლიტიკის ახალი დოკუმენტის

შემუშავების პროცესს: 25 -მდე შეხვედრა გაიმართა როგორც თბილისში, ისე რეგიონებში - 1000-ზე მეტი მონაწილის ჩართულობით.
ამ კუთხით, საყურადღებოა ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმიანობა: უწყებამ ადამიანის უფლებების, ანტიდიკრიმინაციული საკითხების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხების შესახებ გამართა ღონისძიებები, მათ შორის აღსანიშნავია პროექტი ,,თანასწორობის კვირეული"; 16-დღიანი სამთავრობო კამპანია, რომელთა ფარგლებშიც გაიმართა ტრენინგები. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ასევე დაგეგმილი ჰქონდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ტრეფიკინგის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა, რაც ვერ განხორციელდა კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გამო. აღნიშნული აქტივობების განხორციელება დაგეგმილია 2022 წლისათვის. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, ასევე, გამართა ტრენინგები ადამიანის უფლებათა საკითხებზე, ანტიდისკრიმინაციულ და გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით.
საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი სისტემატურად ახორციელებდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო კამპანიას, მათ შორის, საჯარო ლექციებს, სემინარებს, საინფორმაციო შეხვედრებს ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის, ნატო-საქართველოს შორის არსებული თანამშრომლობისა და სამომავლო პერსპექტივების, ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი ვაჭრობის, ევროინტეგრაციის შეგეგად უკვე არსებული ხელშესახები სიკეთეებისა და ანტიდასავლურ პროპაგანდასა და მასთან ბრძოლის გზების შესახებ. საინფორმაციო ცენტრი მუშაობდა სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან მათ შორის, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან, მედიასა და ადგილობრივ მოსახლეობასთან.
საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე, კერძოდ გაიმართა 70-მდე ღონისძიება 2100-მდე მოქალაქის მონაწილეობით, წარიმართა ინტენსიური საინფორმაციო კამპანია ეთნიკური უმცირესობების ენებზე სოციალურ მედიაში (18 ვიდეო, 68 შემეცნებითი პოსტი); გაგრძელდა თანამშრომლობა 3 ადგილობრივ მედიასთან, რომლის ფარგლებში 150 შინაარსობრივი მედია პროდუქტი მომზადდა ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა აღნიშნული თემების გაშუქება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში.
საინფორმაციო ცენტრმა ეთნიკური უმცირესობების ენებზე 2021 წელს მოამზადა, თარგმნა და გაავრცელა შემდეგი საინფორმაციო მასალები: ბროშურა „მითები ნატოსა და ევროკავშირის შესახებ" (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე), „გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ" (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე).
აქვე აღსანიშნავია, რომ ტრეფიკინგის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ვერ განხორციელდა კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით; აქტივობები განხორციელდება 2022 წელს.
მომავალ პერიოდში კიდევ უფრო ინტენსიური და ფართომასშტაბიანი კარდაკარ პრინციპით საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიები წარიმართება, რაც მოიცავს მუნიციპალური ცენტრებიდან დაშორებული დასახლებების მოსახლეობას.
რისკფაქტორად შესაძლოა განხილულ იქნეს კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები.

ამოცანა 7.2 მართლმსაჯულების სისტემისა და სამართალდამცავი ორგანოების მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა

ამოცანის **ინდიკატორთან** მიმართებაში, რაც ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ეროვნულ სასამართლოებსა და სამართალდამცავ ორგანოებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, შეიმჩნევა მდგრადი პროგრესი.

ყველა შესაბამისი პასუხისმგებელი უწყების მიერ განხორციელდა დაგეგმილი საქმიანობა. განსაკუთრებით კი, აღსანიშნავია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ მიერ აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ცალკეული სამართლებრივი აქტების თარგმნა და მათი მაცნეს ვებ-გვერდზე განთავსება. კერძოდ, ითარგმნა და ვებ-გვერდზე განთავსდა: საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; „ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი; „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი“; „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი.

ასევე აღსანიშნავია, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით განხორციელებული საინფორმაციო კამპანიის პროექტი - „ეთნიკური უმცირესობებისათვის უფასო იურიდიული სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა“, რომლის ფარგლებშიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიურ ენებზე სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში, მუნიციპალური ცენტრებიდან დაშორებულ 16 სოფელში 498 პირს მიეწოდა ინფორმაცია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა კასკადური გადამზადების პროცესი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი იდენტიფიცირებისა და გამოძიების თემაზე, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა სხვადასხვა ტერიტორიული ორგანოს 200-მდე თანამშრომელი და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 125 თანამშრომელი. მომდევნო პერიოდში გაგრძელდება პროექტებისა და ღონისძიებების გატარება, რაც კიდევ უფრო გაზრდის/გააუმჯობესებს მართლმსაჯულების სისტემისა და სამართალდამცავი ორგანოების მექანიზმებზე ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობის გაზრდას.

რისკფაქტორად შესაძლოა განხილულ იქნეს ფინანსური რესურსის ნაკლებობა.

ამოცანა 8.1 სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაზრდა

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში, რაც მოიაზრებს სოციალურ-ეკონომიკური პროგრამებისა და სახელმწიფო სერვისების შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირების მიზნით განხორციელებული ღონისძიებებისა და კამპანიების რაოდენობას, ფიქსირდება მზარდი დინამიკა.

სახელმწიფო უწყებებმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ მთელი რიგი შეხვედრები და საინფორმაციო კამპანიები განახორციელეს, რაც ემსახურებოდა მოქალაქეების (1500-მდე ბენეფიციარი) მიერ სახელმწიფო პროგრამებში (ჯანდაცვა, სოციალური დახმარება, დასაქმება) ჩართულობის გაზრდას და სერვისებით სარგებლობის გაუმჯობესებას.

წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მასშტაბით ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამებით ისარგებლა 18 653 ბენეფიციარმა (საერთო ღირებულება 4 235 067 ლარი),

მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 5 827 ბენეფიციარი (საერთო ღირებულება - 1 607 653 ლარი).
აქვე აღსანიშნავია, რომ COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე, ვერ განხორციელდა გეგმით განსაზრვრული აქტივობა, რაც ითვალისწინებდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. აღნიშნული აქტივობის განხორციელება იგეგმება 2022 წელს.
ყურადღება გამახვილდება სოციალურ-ეკონომიკური შეღავათების, შესაძლებლობების, შესაბამისი პროგრამებისა და სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებაზე, მათი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მხარდამჭერ საკონსულტაციო და საგანმანათლებლო აქტივობებზე, ასევე პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდაზე, ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობასა და სამუშაო ადგილების შექმნაზე.
ამოცანის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში აღინიშნება სრული პროგრესი. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში საარსებო შემწეობისა და სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობის მაჩვენებელი საანგარიშო წლისთვის გაიზარდა: სამცხე-ჯავახეთში - 24.4 %-ით, ქვემო ქართლში - 25.1 %-ით; პენსია და სოციალური პაკეტის რაოდენობა სამცხე-ჯავახეთში გაიზარდა 0.9 %-ით, ქვემო ქართლში გაიზარდა 2.5 %-ით.
რაც შეეხება **მესამე ინდიკატორის** შესრულებას, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში აქტიური (მოქმედი) სტატუსის მქონე ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა შეიმჩნევა: სამცხე-ჯავახეთში - 5 939; ქვემო ქართლში - 15 540.
ამოცანის **მეოთხე ინდიკატორის** შესრულებაში, რაც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში შიდა და საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობას, იკვეთება ნაწილობრივი ზრდა, რაც განპირობებული იყო კოვიდ პანდემიით. კონკრეტულად, საანგარიშო პერიოდის I-III კვარტალში ქვემო ქართლში ვიზიტების რიცხვმა შეადგინა 1,051,873 (2019 წლის I-III კვარტალთან შედარებით 43.9 %-იანი ზრდა), კახეთში - 1,110,664 (2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 35.5%-იანი ზრდა), სამცხე-ჯავახეთში- 479,709 (96.8 %-იანი აღდგენის მაჩვენებელი 2019 წელთან შედარებით); თუმცა, ყველა ეს მაჩვენებელი უკავშირდება შიდა ტურიზმს.
ამოცანის **მეხუთე ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ გრძელდება მიკრო გრანტებით ბენეფიციართა დაფინანსება. ამ მხრივ აღსანიშნავია სსიპ ,,აწარმოე საქართველოში"-ს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებში დაფინანსდა 689 ბენეფიციარი, აქედან 168 პირი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონებიდან; მათზე გაცემულმა თანხამ 3.4 მლნ. ლარი შეადგინა. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ახალი კონკურსის გამოცხადება დაგეგმილია 2022 წელს.
კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები და ფინანსური რესურსის ნაკლებობა შესაძლოა განხილულ იქნეს **რისკფაქტორად.**

8.2 ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში, რაც უკავშირდება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გაზიფიცირებული მოსახლეობის მაჩვენებელს, შეიმჩნევა მნიშვნელოვანი პროგრესი. გაზიფიცირების პროგრამის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, კახეთი,

სამცხე-ჯავახეთი) ბუნებრივი გაზის მიწოდების ქსელში ჩართვის საშუალება მიეცა დამატებით 4015 პოტენციურ აბონენტს, მათ შორის: კახეთის რეგიონში - 111 პოტენციურ აბონენტს; სამცხე-ჯავახეთის რეგიონში - 1609 პოტენციურ აბონენტს; ქვემო ქართლის რეგიონში - 2295 პოტენციურ აბონენტს. პარალელურად, გაზიფიცირების სამშენებლო სამუშაოები დაიწყო ქვემო ქართლის 12 დასახლებულ პუნქტში (ჯამში 2230 პოტენციური აბონენტი); თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2 სოფელში და წალკის მუნიციპალიტეტის 10 სოფელში.

2022 წლის განმავლობაში იგეგმება სამუშაოების დასრულება. გარდა ამისა, 2022 წელს დაიწყება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 ოქტომბრის N2120 განკარგულებით გათვალისწინებული 2022 წლის გეგმის შესრულებაც. კერძოდ, სამუშაოები დაიწყება კახეთის ერთ დასახლებულ პუნქტში (210 პოტენციური აბონენტი), სამცხე-ჯავახეთის 14 დასახლებულ პუნქტში (2083 პოტენციური აბონენტი) და ქვემო ქართლის სამ დასახლებულ პუნქტში (230 პოტენციური აბონენტი). ზემოაღნიშნული განკარგულებით დამტკიცებული სამწლიანი გეგმა, 2022-2024წწ. განმავლობაში, ჯამში აღნიშნული სამი რეგიონის 40-ზე მეტი დასახლების გაზიფიცირებას გულისხმობს.

რისკფაქტორებად შესაძლებელია, განხილულ იქნეს ბუნებრივი პირობები და შესყიდვების პროცედურებთან დაკავშირებული შეფერხებები.

ამოცანის **მეორე ინდიკატორთან მიმართებაში,** რომელიც ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ინტერნეტიზაციის პროგრამის ფარგლებში, ფართოზოლოვანი ინტერნეტ-საბითუმო ქსელებით დაფარული დასახლებული პუნქტების რაოდენობის მაჩვენებელს, პროგრესი ვერ იზომება, რადგანაც სახელმწიფო ინტერნეტიზაციის პროგრამის განხორციელება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი) იგეგმება 2024 წლიდან.

მთავარი **რისკფაქტორია** პანდემია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქმიანობის განხორციელების ვადების ცვლილება. აღნიშნული კავშირშია პროგრამისთვის საჭირო რესურსის/მასალის მოწოდებასთან დაკავშირებულ შეფერხებებთან. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ეტაპზე, იწყება მაგისტრალის მშენებლობა, რაც სამომავლოდ, უნდა გაგრძელდეს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებშიც, მიმდინარე ტენდერების ჩავარდნაც წარმოადგენს **რისკფაქტორს**.

ამოცანის **მესამე ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე ხორციელდება სასტუმროებისა და სასატუმროს ტიპის დაწესებულებების 2021 წლის საანგარიშო პერიოდის გამოკვლევის საველე სამუშაოების მომზადება. შესაბამისად, 2021 წლის გამოკვლევის საბოლოო მონაცემები გამოქვეყნდება 2022 წლის 26 აგვისტოს, თუმცა აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ინფო და გასტროტურები ეთნიკური უმცირესობებით მჭიდრო დასახლებული მუნიციპალიტეტების პოპულარიზაციის მიზნით, რომელშიც ჩართული იყო 93 ქართული ტურისტული კომპანია და მედიის 69 წარმომადგენელი, რასაც მოჰყვა დიდი გამოხმაურება როგორც მედიაში, ასევე ინფლუენსერების (ბლოგერები და ფოტოგრაფები) ბიზნეს-გვერდებზე სოციალურ ქსელში.

ამავდროულად, აღსანიშნავია, ტურისტული მარშრუტების შემუშავება/მონიშვნა. კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის მიმართულებით 7 მარშრუტი მოინიშნა. სამომავლოდ დაგეგმილია ახალი ტურისტული მარშრუტების შემუშავება, რაც თავის მხრივ გათვლილია ბილიკის მიმდებარედ ტურისტული სერვისების განვითარების გზით ეკონომიკური შემოსავლების ზრდაზე.

კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები, ასევე ფინანსური რესურსის ნაკლებობა და/ან არაეფექტიანად გამოყენება შესაძლოა განხილილ იქნეს **რისკფაქტორად.**

ამოცანა 8.3 ქალებისა და ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა (ახალგაზრდული პროგრამები, 1+4 სტაჟირება, ბიზნეს ინიციატივების მხარდაჭერა)

ამოცანის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე ინდიკატორებთან მიმართებაში, რაც უკავშირდება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, მიკრო გრანტების ფარგლებში დაფინანსებული ახალგაზრდებისა და ქალების რაოდენობას, ასევე მათთვის გაცემული გრანტების ოდენობას 2021 წლის განმავლობაში, სსიპ აწარმოე საქართველოს პროგრამით 43 ახალგაზრდამ (0.9 მლნ. ლარის ოდენობით) და 72 ქალმა (1.2 მლნ ლარის ოდენობით) მიიღო გრანტი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში, დაფინანსებული ქალების წილში, ფიქსირდება ზრდა 41.0%-დან - 44.5 %-მდე.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ახალი კონკურსის გამოცხადება დაგეგმილია 2022 წელს. სააგენტო ,,აწარმოე საქართველოში" პროგნოზირებს, რომ 2022 წელს დაფინანსდება 160 ბენეფიციარი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონებიდან, აქედან 65 ქალი და 40 ახალგაზრდა.

ამოცანის **მეხუთე ინდიკატორთან** მიმართებაში ფიქსირდება მნიშვნელოვანი პროგრესი. წლის განმავლობაში ახალგაზრდებს რეგულარულად მიეწოდებოდა ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფო სერვისების შესახებ, მათ შორის განათლების მიმართულებით არსებული პროგრამებისა და შესაძლებლობების შესახებ (ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამა"; „1+4 სტაჟირების პროგრამა" და სხვ.;) შეხვედრები ჩატარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების 12 მუნიციპალიტეტის 60 სოფელში, (მათ შორის, დისტანციურად), ათასამდე ახალგაზრდას მიეწოდა ინფორმაცია პროფესიული და უმაღლესი განათლების შესაძლებლობების შესახებ.

აქვე აღსანიშნავია, 2020 წელს „1+4 სტაჟირების პროგრამის" მოქმედება დროებით იყო შეჩერებული კოვიდ პანდემიის პრევენციის მიზნით დაწესებული შეხღუდვების გამო. 2021 წელს პროგრამაზე მიღება განახლდა. „1+4 სტაჟირების პროგრამის" მიზანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების საჯარო სამსახურში ჩართულობის გაუმჯობესება. 2021 წლის (ორ) ნაკადში სტაჟირების პროგრამაში ჩაერთო 67 ახალგაზრდა (დღემდე პროგრამაში 361-მა ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა).

რიგი საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები, სემინარები, გამოფენები გაიმართა, კონკრეტული მცირე და სტარტაპ პროექტები განხორციელდა ახალგაზრდებისა და ქალებისთვის, რაც ემსახურებოდა მათ სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას. შედეგად, გაიზარდა პროგრამებში ჩართვის როგორც მსურველთა, ისე პროგრამებით მოსარგებლე პირთა რაოდენობა.

აღნიშნული მიმართულებით საჯარო სამსახურში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების ჩართვის, საქმიანი უნარების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განვითარდება და გაფართოვდება ე.წ. „1+4 სტაჟირების პროგრამის" შესაძლებლობები, გაგრძელდება საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების

კამპანიები და ისეთი პროგრამების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებისა და ქალების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას.
კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები, ასევე ფინანსური რესურსის ნაკლებობა და/ან არაეფექტიანად გამოყენება შესაძლოა განხილილ იქნეს **რისკფაქტორად.**

ამოცანა 8.4 ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის მცირე ეთნოსების პერსონალური მონაცემების დაცვისა და თვითიდენტიფიცირების საფუძველზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანის **ინდიკატორთან** მიმართებაში ფიქსირდება სახელმწიფო უწყების მხრიდან გაწეული ძალისხმევა, კერძოდ დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაციის აქტიურად დამუშავება, რაც წინა წლებთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია. შესაბამისად, შეიმჩნევა დადებითი ტენდენცია. საანგარიშო პერიოდში საპილოტე რეჟიმში გამოქვეყნდა 2020 წლის 1-ლი ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის სტატისტიკური ანგარიში და ასევე, უკვე გავრცელდა 2021 წლის წლიური ანგარიში მომავალ წლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სტატისტიკური მონაცემების მოგროვების მეთოდოლოგიისა და სამოქალაქო აღწერის ფორმულარების ეფექტიან მომზადებას, რაც მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღებისა და მიმდინარე პროცესების დინამიკის ანალიზისთვის, განსაკუთრებით დასაქმების პრობლემების ანალიზისა და მოგვარების, რეგიონის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვისთვის.
რისკფაქტორად შესაძლებელია განხილულ იქნას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაძლო გაუმართაობა.

ამოცანა 9.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში დინამიკა არ ფიქსირდება, რადგანაც აღნიშნული მიმართულებით საქმიანობა არ განხორციელებულა. სამომავლოდ იგეგმება საქმიანობების განხორციელება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში. კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოკვლევა, აღრიცხვა/იდენტიფიცირება, ერთიან საინფორმაციო ბაზაში განთავსება, რეაბილიტაციის მიმართულებით ქმედებების განხორციელება.
ამოცანის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში, რაც ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თეატრებისა და მუზეუმების მხარდაჭერას, ფიქსირდება სრული პროგრესი. საანგარიშო პერიოდში, მიუხედავად კოვიდპანდემიისა, საქმიანობა განაახლეს სსიპ თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსულმა პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა (განახორციელა 80 ღონისძიება), სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხურმა პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა (განახორციელა 20 ღონისძიება), სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანულმა პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა (გამართა 5 ღონისძიება). ამავდროულად, მუზეუმებმა განაგრძო ღონისძიებების გამართვა. კერძოდ, სსიპ მირზა-ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმმა განახორციელა აზერბაიჯანული კულტურის შემეცნებითი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც

გაიმართა 21 ღონისძიება 973 ბენეფიციარის მონაწილეობით; სსიპ დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში განხორციელდა ებრაული კულტურის შემეცნებითი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც გაიმართა 3 ღონისძიება 23 ბენეფიციარის მონაწილეობით. 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თეატრებისთვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 1 952 000 ლარი, ხოლო მუზეუმებისთვის - 204 000 ლარი.
თეატრებისა და მუზეუმების მხარდაჭერა სტაბილურად გაგრძელდება, რაც ემსახურება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, წარმოჩენასა და პოპულარიზაციას.
კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები და რესურსის ნაკლებობა შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც **რისკფაქტორი.**

ამოცანა 9.2 კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა (მულტიკულტურული და ინტერკულტურული აქტივობები, სახელოვნებო და სპორტული ღონისძიებები, ეთნიკური ფოლკლორის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია)

ამოცანის **პირველ და მეორე ინდიკატორებთან** მიმართებაში აღინიშნება მაქსიმალური პროგრესი. კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ინფორმირებისა და კულტურათაშორისი დიალოგის გაუმჯობესების თვალსაზრისით შესაბამისმა უწყებებმა განახორციელეს მნიშვნელოვანი აქტივობები, როგორც თბილისში, ბათუმში, ისე ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებში (ახალციხე, ბოლნისი, თეთრიწყარო, მარნეული, გარდაბანი, წალკა, ახმეტა).
წიგნადი ფონდით შეივსო მარნეულის, გარდაბნისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების სოფლების ბიბლიოთეკები.
კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა მასშტაბური ღონისძიებები, მათ შორის კონკურსები, გამოფენები, მუსიკალური ფესტივალები, ლიტერატურული საღამოები. აღსანიშნავია, რომ გაიმართა ,,შალვა ახალციხელის ხსენების დღე -ახალციხელობა 2021“, ,,შოთაობა 2021“, ,,ღორჯომელობა“, სადაც ჩართული იყო 2000-მდე ბენეფიციარი; კახეთის რეგიონის მასშტაბით გაიმართა 10-მდე კულტურული სახის ღონისძიება, 600-მდე ბენეფიციარის ჩართულობით; ქვემო ქართლის რეგიონის მასშტაბით მრავალი კულტურული ღონისძიება ჩატარდა 4500-მდე ბენეფიციარის ჩართულობით.
2020 წელთან შედარებით სხვადასხვა დღესასწაულების და კვირეულების აღნიშვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა, შესაბამისად ქართველ და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაცია გაღრმავდა. აღნიშნული მიმართულებით კიდევ უფრო აქტიურად და ინტენსიურად წარიმართება საქმიანობა.
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხრიდან სამომავლოდ პრიორიტეტული იქნება ღონისძიებების განხორციელების მხარდაჭერა კონკურსების გზით, თუმცა რომელი მუნიციპალიტეტები ჩაერთვებიან აღნიშნულ კონკურსებში და სად განხორციელდება პროექტები, ამ ინფორმაციის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ასევე კახეთის რეგიონის მასშტაბით პრიორიტეტული იქნება ეთნიკური უმცირესობების სახალხო დღესასწაულების აღნიშვნა, მულტიეთნიკური ფესტივალებისა და ინტელექტუალური თამაშების ჩატარება. რაც შეეხება ქვემო ქართლის რეგიონს, გაგრძელდება

კულტურულ-საგანმანათლებლო სახის ღონისძიებების, ეთნო ფესტივალების, ლიტერატურული საღამოებისა და გამოფენების ჩატარება, ხოლო სამცხე-ჯავახეთში პრიორიტეტული იქნება ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელოვნად გაზრდა კულტურათშორის დიალოგში. მუნიციპალიტეტებში შეიქმნება ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე ჩამოყალიბდება „ახალგაზრდა მრჩეველთა საბჭოები“ რომელშიც კონცენტრირებული იქნება ყველა ის ღონისძიება, რაც ხელს შეუწყობს კულტურათშორისი დიალოგის გაღმავებაში ახალგაზრდების ჩართულობას, ეთნიკური უმცირესობების კულტურული ტრადიცების შესაბამისობაში ღონისძიებების დაგეგმვას, ახალგაზრდული ფესტივალების ჩატარებას (გამოფენები, სპორტული ღონისძიებები, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების პოპულარიზაცია). აღსანიშნავია, რომ კოვიდ-პანდემიიდან გამომდინარე 2021 წელს დაგეგმილი ღონისძიებები განხორციელდა მცირე მასშტაბით, მიმდინარე წელს დაგეგმილია ცალკეული ღონისძიებები: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ,,ტერიანობა 2022“, „ვიქტორ ჰოვსეფიანის პოეზიის საღამოები“, ქართულ-სომხური პოეზიის საღამოები, "სათხაობა“ 2022, „ღორჯომლობა“ 2022; ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ,,აშუღი ჯივანისა და თიფილის ხსენების დღე 2022“; ახალციხის მუნიციპალიტეტში- ,,ახალციხელობა 2022“ ამ ღონისძიებებში 5000 ბენეფიციარი მიიღებს მონაწილეობას. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს, კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენას, ეთნიკური უმცირესობების კულტურული ტრადიციების შენარჩუნებასა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის გაღრმავებას.

რისკფაქტორად შესაძლოა განხილულ იქნეს კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები და ფინანსური რესურსის ნაკლებობა.

ამოცანა 9.3 მასობრივი ინტერკულტურული სპორტისა და მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერა და შესაბამისი სივრცეების/ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანის **ინდიკატორთან** მიმართებაში, რაც ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ჩატარებული სპორტული და კულტურული ღონისძიებების რაოდენობას, შეინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი.
საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა და კიდევ უფრო ინტენსიურად წარიმართა სპორტული და კულტურული ღონისძიებების გამართვა, რაც უკავშირდებოდა წინა წელთან შედარებით ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუმჯობესებას და კოვიდ პანდემიის პირობებში პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გარკვეულ შემსუბუქებას. განსაკუთრებით მრავალფეროვანი აქტივობები განხორციელდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, სადაც 80-მდე განხორციელებულ აქტივობაში 2000-ზე მეტმა ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა. საინფორმაციო შეხვედრები, რომლებიც გაიმართა თბილისში, ბათუმში, ასევე ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი), მიზნად ისახავდა სპორტულ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას განსაკუთრებით ახალგაზრდებში.
აქვე აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში, მიუხედავად COVID-19 პანდემიისა მოსახლეობის სპორტულ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით 23 მუნიციპალიტეტში 30-მდე სპორტის სახეობაში ჩატარდა 70-მდე ღონისძიება, რომელშიც ჩაერთო 7000-მდე ბენეფიციარი.

გაგრძელდება სხვადასხვა პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება ეთნიკურ ჯგუფებს შორის დიალოგისა და სოლიდარობის განმტკიცების მიზნით, ხელი შეეწყობა საერთო კულტურული და სპორტული სივრცეების მოწყობას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

რისკფაქტორად შესაძლოა განხილულ იქნეს კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები და ფინანსური რესურსის ნაკლებობა.

გამოწვევები და რეკომენდაციები

წინამდებარე სახელმწიფო სტრატეგია ეფუძნება უკანასკნელ წლებში სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სფეროში მიღწეულ შედეგებს და ითვალისწინებს არსებულ გამოწვევებს, რომლებიც იდენტიფიცირებულია 2015-2020 წლების სტრატეგიის შუალედური და საბოლოო შეფასებების შედეგად, ასევე ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო-კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მიერ საქართველოსთან მიმართებით გამოქვეყნებულ დასკვნებსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებში და ითვალისწინებს აღნიშნული შეფასებების ფარგლებში წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ მთელი მსოფლიო, მათ შორის, საქართველო, უპრეცენდენტო გამოწვევის წინაშე დააყენა. ყოვლისმომცველმა კრიზისმა გარკვეულწილად შეაფერხა სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილი ამოცანების შესრულება. მთავრობის უპირველესი პრიორიტეტი გლობალურ პანდემიასთან გამკლავება გახდა, რომელიც, ერთი მხრივ, მიმართული იყო მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვისკენ, მეორე მხრივ კი - ეკონომიკური კრიზისის დაძლევისაკენ. ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესაბამისად, დაავადების გავრცელების პრევენციისა და მასზე სწორი რეაგირების მიზნით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ძალისხმევა მიმართული იყო მოსახლეობის მშობლიურ ენაზე რეგულარული ინფორმირებისაკენ, ასევე, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფების პირველადი მოხმარების პროდუქტებითა და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფისაკენ. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოსახლეობის მხრიდან რეგულაციების დაცვაში, შესაბამისად - დაავადების გავრცელების პრევენციის პროცესში. პროგნოზირებული რისკების ანალიზის საფუძველზე სამოქმედო გეგმაში გაწერილია როგორც საბაზისო აქტივობები, ისე პანდემიის პირობებში ეკონომიკური განვითარების პესიმისტური სცენარის საპასუხოდ, მოსახლეობის ინფორმირებისა და სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის აქტივობები.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ რჩება სახელმწიფო ენის არასათანადო ცოდნა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამავდროულად, გარკვეულწილად ხელს უწყობს წვდომას ინფორმაციაზე, ერთმანეთის კულტურის, ტრადიციების გაზიარებას და

მიმღებლობას. აღნიშნული მიმართულებით წარმოდგენილი რეკომენდაციები მოიცავს სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერებას სხვადასხვა მექანიზმების ეფექტიანი განხორციელების გზით, ქართული ენის უფრო მეტად წარმოჩენას ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების დონეზე და მის პოპულარიზაციას. დგას პროგრამების მასშტაბების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უფრო ეფექტური ინტერვენციების საჭიროება, რაც მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული (პროგრამები, რესურსები, პედაგოგები, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და სხვა).

ეთნიკური უმცირესობებისთვის ხარისხიან განათლებაზე წვდომის უზრუნველყოფის კუთხით არსებობს რიგი გამოწვევები, მათ შორის: სასწავლო მასალების გაუმჯობესება, პედაგოგ-მასწავლებლების გადამზადება, ბილინგვური მოდელის დანერგვა და ამოქმედება; კვლავ იკვეთება პრობლემები სკოლამდელი და დაწყებითი საფეხურის ინტეგრაციისა და ტრანზიციის ეფექტიანი მექანიზმების შექმნის თვალსაზრისით.

არსებულ სკოლამდელ დაწესებულებებში განათლებისა და ზრუნვის სერვისის ხარისხი, უმეტეს შემთხვევაში, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს.[2] ამასთანავე გადასაჭრელია სასკოლო მზაობის პროგრამის ხელმისაწვდომობისა და არსებულ საბავშვო ბაღებში არასრულფასოვნად რეალიზების პრობლემა. აღნიშნული კომპონენტი დიდწილად განაპირობებს მოზარდებში ზოგადი განათლებისათვის მზაობასა და გავლენას ახდენს მათ შემდგომ განვითარებაზე.

ასევე, იკვეთება სასწავლო და მეთოდური მასალების შექმნისა და ეთნიკურ უმცირესობათა მშობლიურ ენებზე თარგმნის, სკოლამდელი განათლების აღმზრდელ-მასწავლებლების მომზადებისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების დროულად გადადგმის საჭიროება. საყურადღებოა, რომ საქართველოში ადრეული ასაკის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებელი 69,5%-ია, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში - 25,5% (საშუალოდ), რაც ევროპულ სამიზნე ნიშნულზე - 95%-ზე ნაკლებია. ჩარიცხვის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სოციალურად დაუცველ და სოფლად მცხოვრებ ბავშვებში[3].

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში არაერთი პროექტი თუ ინიციატივა განხორციელდა, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის თვალსაზრისით ხელშესახები შედეგებისთვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი.

თანასწორობის პრინციპების ეფექტიანი რეალიზებისთვის არსებით საკითხს წარმოადგენს თანაბარი საარჩევნო გარემოს განმტკიცება და ეთნიკური უმცირესობების მხრიდან გაცნობიერებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობის კუთხით ცნობიერების ამაღლება.

---

[2] სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების დასკვნითი შეფასება, www.smr.gov.ge

[3] საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა, 2018, UNICEF
https://www.unicef.org/georgia/media/1236/file/Preschool%20Quality%20Study.pdf

იმისათვის, რომ ცენტრალურ და თვითმმართველ სტრუქტურებში გაიზარდოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა და მონაწილეობა, ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება და მიზანმიმართული საგანმანათლებლო საქმიანობა სამართლებრივი და სხვა უფლებების თაობაზე.